



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N5

ქ. მარნეული

29.02.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, ლერი მუმლაძე, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი.

არ ესწრებოდა: - ნიკოლოზ გოგოჭური, გიორგი შუკაკიძე, რაფიკ მუსაევი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ზურაბ ჭონიაშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიანულ-კონსერვატიული“-ს თავმჯდომარის რაგიმ ასკეროვის განცხადების (რეგ. N337/05. 11.02.2016 წ) განხილვის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 თებერვლის N03/692 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 თებერვლის N03/693 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 თებერვლის N03/583 წერილის განხილვის შესახებ.
6. საქართველოს საპატრიარქოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის 2016 წლის 3 თებერვლის N7 წერილის განხილვის შესახებ.
7. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 12 თებერვლის N5/6797 წერილის განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 იანვრის N24-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 თებერვლის N414-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N227-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 2 თებერვლის N242-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 2 თებერვლის N239-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N224-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 29 იანვრის N200-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N225-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
16. მარნეულის წმ. დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზი ილია ჭილაძის განცხადების განხილვის შესახებ.
17. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის N128 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა ბიუროს წევრებს გააცნო ფრაქცია „ქრისტიან-კონსერვატორები“-ს განცხადება ლერი მუმლაძის ნაცვლად ფრაქციის თავმჯდომარედ რაგიმ ასკეროვის არჩევის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 თებერვლის N03/692 წერილი შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 თებერვლის N03/693 წერილი შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 თებერვლის N03/583 წერილი, რომლის მიხედვით შაუმიანის სამხედრო დასახლებაში ჩასახლებული დევნილები ითხოვენ თავიანთი შვილებისათვის, რომლებიც სწავლობენ მარნეულის კულტურის ცენტრთან არსებულ სამუსიკო სასწავლებელსა და სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ანსამბლებში, მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის ნებართვას მარშრუტით: შაუმიანი - მარნეული - შაუმიანი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის მმართველის-ეპისკოპოსის 2016 წლის 3 თებერვლის N7 წერილი ეპარქიაში არსებული ეკლესია - მონასტრების აღსადგენად თანხის გამოყოფის შესახებ. გამოითქვა წინადადება, რომ მარნეულის ბიუჯეტში რელიგიური მუხლით გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 000 ლარს, რომლითაც ფინანსდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების და მეჩეთების მიერ გახარჯული ელ. ენერჯის დავალიანება, რის გამოც თხოვნა ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება. ამავდროულად მოხდება რელიგიურ საქმეთა სახელმწიფო სააგენტოსთან კონსულტაცია და საკითხის ჯეროვანად შესწავლის შემდგომ მისი ხელახალი განხილვა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 12 თებერვლის N5/6797 წერილი, რომლის მიხედვით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ითხოვს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა SKODA SUPER B სახ. N FCF-696, გამოშვების წელი -2011, საიდ. ნომერი TMBAB43T2C9029379, საკუთრებაში გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის N130 განკარგულებით პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობისათვის, თხოვნის ფორმით გადაცემულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის. აღინიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომის დაწყებამდე შემოვა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილიც, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ზიადინ ახმედოვის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საკუთრებაში არსებული ქონების (საკადასტრო კოდი N83.02.05.775) რეგისტრაცია განხორციელდეს შ.პ.ს. „რეესტრის“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ასლან ფაშაევის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.23.892 მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ჟორდანიას ქუჩა N40ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ინგა შუკვანის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საცხოვრებელ ბინას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით საკადასტრო კოდი N83.04.11.082.01.507 მიენიჭოს მისამართი: წერეთლის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი საიმერლო, თამარ მეფის ქუჩა N1, ბინა N5, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ელვინ ფატახოვის განცხადება, რომელიც ითხოვს ნახარგიულ ალიევას საკუთრებაში არსებულ ბინას, რომელიც ტექნიკურ-კატრიაჯის არქივში აღრიცხულია მისამართით: ქალაქი მარნეული, ჯანდარის დასახლება (მასივი) კორპუსი N2, ბინა N115, ხოლო პრივატიზაციის ხელშეკრულებით აღრიცხულია მისამართით: ქალაქი მარნეული, ჯანდარის დასახლება კორპუსი N2, ბინა N7 მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ჯანდარის დასახლება კორპუსი N2, ბინა N7, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ს.ს.ი.პ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ბრძანება, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა სოფელ დიდ ბეგლიარში მდებარე 1207 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 28 სექტემბრის N03/3816 წერილით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული მიწის ნაკვეთი გამოიყოს სოფელ დიდი ბეგლიარის მოსახლეობისათვის, შემდგომში მისი სასაფლაოდ გამოყენებისათვის, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N224-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ნუსხისა და გეგმის

დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 29 იანვრის N200-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია საკუთრების დამატკიცებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N225-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 ერთეული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობები შესაბამისი ინფრასტრუქტურით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით ა.ა.ი.პ. სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის წმ.დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ილია ჭილაძის განცხადება, რომელიც ითხოვს წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაციას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წერილი, რომლის მიხედვით კომისიის შემადგენლობაში გოჩა გოლაშვილის ნაცვლად წარმოდგენილია ვალერი ზარიძის კანდიდატურა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს სხდომის დამთავრებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ითხოვა საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხას დაემატოს შემდეგი საკითხები : 1.მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ახალი სამსახურის შექმნის შესახებ, რის გამოც შესაბამისი ცვლილება შედის გამგეობის დებულებაში, ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში და საშტატო განრიგში, ასევე მტკიცდება ახალი სამსახურის დებულებაც. 2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურისათვის ავტომანქანის მიმაგრების შესახებ. 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხები განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეხუთე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი